№ 255 9 ქრისტეშობისთვე, ქვირა 1866—1879 9 ქრისტეშობითსვე, ქვირა № 255

დროება

ᲣᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲘᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, №33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ... ებით ასოზე 1 კაპ., ... ცეროთი— 5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დ სანდეფდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად

„დროების“ რედაქცია გარდავიდა

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲐᲔᲓᲐᲜᲖᲔ, ᲨᲣᲐᲒᲐᲖᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ, Თ. ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲒ ᲐᲠᲚᲣᲗᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, № 2.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ 1880 ᲬᲔᲚᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“-„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲖᲔᲓ

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი **„დროება“** და ჟურნალი **„ივერია“** შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი **„დროება“** გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სიერცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი **„ივერია“** კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სიერცით თორმეტი დიდი თაბახი.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

მიიღება თფილისში: **„დროების“** რედაქციაში, სოლოლაკზე, ბაღის (სადოვის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

ᲤᲐᲡᲘ

						წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს.
„დროება“	და	**„ივერია“**	—	ერთად	—	13 მან.	— 7 მან.	— 4 მან
ცალკე:	**„დროება“**		—	—	—	9 „	— 5 „	— 3 „
	„ივერია“		—	—	—	6 „	— 4 „	— 2 „

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირება — 5 კაპეიკი.
— — „ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა { **თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.**

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 12 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ

ახალი კომედია ორს მოქმედებად

II

ᲜᲔᲒᲐ ᲛᲘᲒᲝᲥᲔᲗ, ᲒᲐᲢᲝᲜᲝ!

ᲛᲝᲓᲔᲕᲘᲚᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲓᲛᲝᲙ.

თ. ᲘᲕ. ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ

III

ᲪᲔᲚᲥᲔᲑᲘ

ᲛᲝᲓᲔᲕᲘᲚᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ

ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲙᲐᲡᲡᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲑᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲑᲐ 7½ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

(3—1)

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა შორის ტელეგრაფის საგენტოსი).

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 6 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. „მმართებლობის მოაბეში“ დაბეჭდილია, რომ ხელმწიფე იმპერატრიცა ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა იმ ავათმყოფობისაგან, რომლისგან მოსარჩენად იმან ინება ამას წინათ სამზღვარ გარეთ მოგზაურობა. მარჯვენა ფილტვის ტკივილები აქვს, რომელიც თან-და-თან მატულობს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 6 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ. გაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია ᲣᲐᲜᲓᲐᲐᲠᲘᲓᲐᲛ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ქრისტეშობისთვის 5-ს შეტაკება მოხდენილა ზერატისა და ᲭᲐᲑᲣᲚᲘᲡ ჯარებს შუა; არცერთ მხარეს არ გაუმარჯვენია; ისმის, რომ ᲭᲐᲑᲣᲚᲘᲡ ჯარებს დაუტყვევებიათ მხოლოთ ზერატის ღუბერნატორი, ახალი გუბერნატორი დაუნიშნავთ იმათთვის და ზერატის ციტადელი (ციხე) დაუჭერიათ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲛᲫᲘᲛᲝᲐ ᲡᲘᲫᲕᲘᲠᲔ?

ახლანდელი სიძვირე რომ გაურჩევლად ყველას ჰქენჯნის, ყველას მძიმე უღელივით აწევს კისერზედ, ყველას აწუხებს, და ამისათვის ყველა მას შიშის თვალით უცქერის,—ამის დამტკიცება ისეთივე ტყუილ-უბრალო ლაპარაკი იქნება, როგორც წყლის ნაყვა. მეორეს მხრით, იმის გამტყუნება, დარღვევა, რომ ყველასათვის ერთნაირად არ არის საშინელი და შემაძრწუნებელი ასეთი ყველაფრის სიძვირე; რომ, თითქმის, მომეტებული ნაწილი ხალხისა ერთმანერთში აქვითებენ ამ სიძვირეს, ერთმანერთში გამოდიან, ერთმანერთს უსწორდებიან სხვა და სხვა გზით და ათასნაირი ურთიერთზედ დამოკიდებულებაებით,—ამის დარღვევაც ისეთივე უბრალო შრომა

იქნება, როგორც დარღვევა რომელიმე მათემატიკური ჭეშმარიტებისა.

მართლა, ვისთვის უფრო ძნელია ასეთი ყველაფრის სიძვირე, რომელიც ახლა ჩვენში სუფევს?

ამ კითხვაზედ რომ მოვსთხოვოთ პასუხი ყველა წოდებას, შეუცდომელად შეიძლება ვსთქვათ, რომ ყველა თავის თავზედ მიითითებს და იტყვის: ჩვენისთანა სიძვირის გამო დაჩაგრული და გულ-დამწვარი არავინ არ არისო, და ყველა ეცდება წარმოადგინოს ამის დასამტკიცებელი საბუთები. ავიღოთ, მაგალ., მამულის, საქონლის ე. ი. ძროხისა, ცხვრისა, ღორისა, ინდოურისა, ქათმისა და სხვ., პატრონები და ვკითხოთ ამათ.

მამულისა და საქონლის პატრონები ჩივიან ყოველთვის მაზედ, რომ ხელზედმოსამსახურობას, მოჯამაგირობას, მუშაობას ფასი ერთი ორათ, ერთი სამათ მოემატაო, ყველაფერი გაძვირდაო, ერთი სამათ, ერთი ოთხად ჰყიდიან ეს დალოცვილი ვაჭრები ყველაფერსაო; ასე გაშინჯეთ, ბატონო, ამოდენა მამულიდგან, ამოდენა საქონლიდგან, რომელსაც დიდი მოვლა, პატრონობა და ტანჯვა სჭირია, ხელში სრულიად არაფერი გვრჩებაო.

ამაზედ ყველანი დავეთანხმებით მამულის და საქონლის პატრონებს; მაგრამ ერთი რამ კი უნდა მოვახსენო მათ: მამულის პატრონები აქამდისინ დღიურზედ მოსავლის მეოთხედს სჯერდებოდნენ, ახლა კი მოსავლის ნახევარს და ხანდისხან მეტსაც თხოულობენ; აქამდისინ ერთ შეშის ან სარის ურემზედ აბაზს გადასახადს იღებდნენ, ახლა მანეთსაც აღარ სჯერდებიან; წინათ საპალნე ღვინოს ხუთ თუმნათ ჰყიდდნენ, ახლა კი ხუთმეტ და ოც თუმნათაც აღარ აძლევენ; აქამდისინ ორ მანეთათ იხვეწებოდნენ კოდს პურს, ახლა კი ოთხ მანეთათაც ნაზობენ; ამ სამი-ოთხის წლის წინეთ სამ-ოთხ ოთახიანს სახლს წელიწადში ხუთ თუმნათ აქირავებდნენ, ახლა კი ამნაირსავე სახლში ხუთმეტ-თუმანს იღებენ და სხვ. საქონლის პატრონები თუ აქამდისინ ხუთმეტ მანეთათ და ორ თუმნათ ჰყიდნენ სამუშაო ან საკლავ ხარს, კამეჩს, ეხლა ოთხ და ხუთ თუმან ნაკლებ აღარ აძლევენ; ცხვარი და ღორი თუ აქამდისინ წყვილი ხუთ-ექვს მანეთათ იყიდებოდა, ახლა თვითო იყიდება ამ ფასათ; ფუთ ყველს აქამდისინ ოთხ მანეთათ იხვეწებოდნენ და ფუთს ერბოს რვა მანეთათ, მაგრამ ეხლა ფუთ ყველში 8 მან. და ერბოში 14 მ. ჩვენ ვეხვეწებით, და სხვ. და სხვ.

ახლა ვკითხოთ გლეხკაცებს, მიწასთან საქმის მქონებს, ვაჭრებს, ხელოსნებს და მღვდლებს. გლეხკაცები ამბობენ: გაგვიჭირდა, ძმაო, ცხოვრება, სულთადგმა აღარა გვაქვს, ხაზინამ ცალკე, მამულის პატრონებმა ცალკე, მღვდლებმა ცალკე მოგვიმატეს გადასახადი ყველაფერზედაო; ვაჭრები ხომ სულ ტყავს გვაძრობენო. აი სწორეთ ამიტომ ჩვენც მოუმატეთ ფასი მას, რაც ჩვენ ხელშიაო; მაგრამ, ნეტაი, ღმერთმა ბძანოს, შელავათი მოგვეცეს, სიაფე ჩამოვარდეს, მაშინ ჩვენც ყველაფერს იაფათ გავყიდითო.

ვაჭრები, ხელოსნები და მღვდლები იმასვე იმეორებენ: ყველაფერს ძვირათ ვყიდულობთო, ცხოვრება — გაძვირდაო, მაშ როგორ ვიცხოვროთო, თუ ჩვენც ჩვენ საქმეს ფასი არ მოუმატეთო?!

ამათში ვინ უფრო მართალია და ვინ უფრო მტყუანი, ამაზედ სჯა მკითხველისათვის მიმინდვია. მხოლოდ მე გავიმეორებ იმას რაც დასაწყისში ვსთქვი, რომ მომატებული ნაწილი ხალხისა ერთმანერთში გამოდიან, ერთმანერთს უწოროდებიან და მათთვის თითქო სიძვირე არ არსებობს *).

აი ამისათვის ათას ნაირ საშუალებას სიძვირის მოსპობისას, ყოველთვის ფუჭათ ჩაუვლია და ჩაივლის კიდეც, უკეთუ ზევით ნაჩვენები დამოკიდებულება ურთიერთზედ ხალხისა არ შეიცვალა, უკეთუ თვითონ ნაყოფის მწარმოებლებმა არ დიუკლეს ფასი თავიანთ ნაწარმოებს (?), უკეთუ ლტოლვილება სიმდიდრისადმი, რომელიც თითქმის საშიშარ თვისებათ გადაქცეულა ჩვენ ხალხში, არ შემცირდა,—ვიმეორებ, ახლა სიძვირისაგან სიაფეში გადასვლა ძნელ საქმეთ მიმაჩნია. ერთი და უკანასკნელი საშუალება-ღაა იაფობის ჩამოგდებისა, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ბუნების

*) ეს შემცდარი აზრია: სიძვირე ყველასთვის არის, მაგრამ ყველას ერთნაირად არ აწუხებს, არ აძძიმებს: მდიდარმა, შეძლებულმა რომ, ვ თქვათ, ფუთს პურში მანეთის მაგიერად მანეთ ნახევარი მისცეს, ის იმას ისე არ შეავიწროებს, როგორც გლეხს, რომელსაც ყოველი ლუკმა გამოზომილი აქვს და თუ მომეტებული შესჭამა, ან მწყურვალე უნდა დარჩეს ანუ შიშველი. რედ.

ფელტონი

მესტვირე

დავლარიბდი, მიშველეთ,
მომიკითხეთ მშიერი,
უსინათლო დავდივარ,
არვინ მყავს მადრიელი!

—

ისე დავბადებულვარ,
ამით ვარ ბედნიერი,
ჩემთვის ყველა ერთია:
უმაწვილი გინდ ხნიერი.

—

ლანძღვა, შური-ძიება;
უველა მეხალისება!
სხვის ჩაგვრა მიხარიან,
ეს არს ჩემი თვისება...

—

ისე უკბენ გველურად,
ვერ გაიგოს— ვინ არი.
ძმას სამარეს გაუთხრი,
შიგ ჩავახრჩო მძინარი.

—

შენ რომ სხვანი გაქებენ,
მე მიწამლავს ის გულსა,
თოფყემ სხვაგვარ ვერ მნახვენ
უმისოთ დაჩაგრულსა.

—

ეს არი ჩემი მკვლელი,
ჩემი უბედურობა,
რომ ჩემად ამხანაგად
კაცი არ მეგულება;

—

თორემ ბევრს ვიცინებდი,
მოვფენდი ჩემს ენასა;
ბევრს გავსვრიდი ტალახში—
ნახავდით ჩემს ლხენასა!

—

მაგრამ რა ვქნა, არ მყვანან
კარგი ამხანაგები,
რომ ესმოდეთ ჩემსავით
ბოროტების ჰანგები.
მე რო ვიყო მდიდარი
და მქონდეს ბევრი ფული,
მაშინ სიხარულითა
აჰყვავდებოდა გული.

—

იცით იმ სიმდიდრესა
რაზედ მოვიხმარებდი?
ფულით ვიყიდდი მტრობას,
ძმას არ გავახარებდი!

—

უამხანაგოთ დავრჩით
მე და ეს სტვირის გუდა,—
ჭორით ვბერე აქამდინ
და ესეც დაიფუკა!.

პიდევ ის ვარ.

თფილისი, 4 დეკემბერს

ხელშია,—ეს არის ზედი-ზედ რამდენსამე წელიწადს ყველაფრის უხვი მოსავალი.

მაშასადამე, როგორცა სჩანს, მამულის პატრონებს, ვაჭრებს, ხელოსნებს და მღვდლებს კიდევ არა უშავთ-რა, რადგანაც მათ ხელშია სურვილისამებრ ფასის წამატება, რომელითაც შეუძლიათ იოლათ წავიდნენ ამისთანა სიძვირეშიაც.

რა ჰქმნან მოსამსახურე პირებმა? **რომ** სწორეთ სთქვას კაცმა, ყველაზე მეტათ შეწუხებულნი და შეძრწუნებულნი არიან სიძვირისაგან საზოგადოთ ყველა უწყების მოსამსახურე პირნი, რომლებიც დამყარებულნი არიან მარტოთ თავიანთ ჯამაგირზედ, იმ ჯამაგირზედ, რომელიც, ვინ იცის, ათი ან ოცი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც დააწესეს რომელიმე უწყების მოსამსახურე პირებისათვის,— მაშინ, როდესაც ყოველ წელიწადს ყველაფერი თან-და-თან ძვირდება და მომატებული საჭიროება ჩნდება. **მ**სეც კი უნდა ვსთქვა, რომ მოსამსახურე პირებში არის განრჩევა: ზოგიერთს იმოდენა ჯამაგირი აქვს მცირე საქმისათვის ან სრულიად უსაქმობისათვის, რომ ამისათვის ასეთი ყველაფერის სიძვირე მაგრე რიგათ აინუმში მოსასველელი არ არის; ხოლო ზოგს იმისათვის რომ ბევრს შრომობს, მცირე ჯამაგირი აქვს და აბა კიდეც ამისთანა პირისათვის განსაკუთრებით **არის** საშინელი ასეთი ყველაფრის სიძვირე.

მეორედ ის განრჩევა არის მოსამსახურე პირებში, რომ ზოგი **მ**ათგანი სამსახურს და თავის უფლებაებს ბოროტათ ხმარობს და ის სიძვირეს აგრე რიგათ ყურადღებას არ აქცევს, ზოგი კი არ ჩაიდენს უსინიდისობას და ადამიანის ღირსებას დამამცირებელს მოქმედებას; ამისთანა პირი იტანჯება ყველაზედ მომატებულად ამნაირი სიძვირისაგან!

ამისთანა პირებათ ესთელიდი მე ყველა ჩვენებურ მასწავლებლებს, თუმცა ზოგიერთებს აქაც შესძლებიათ ბოროტად მოხმარება თავიანთ თანამდებობისა.

რაკი მასწავლებლები ვახსენე, არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ ყველა სასწავლებლების მასწავლებლებზედ დაჩაგრულნი და შესაბრალისნი არიან სოფლის შკოლისა და დაბალი სასულიერო შკოლის მასწავლებელნი, რომელთაც მცირე ჯამაგირი აქვთ და სხვა არაფერი ღონის-ძიება.

ქ. ზ—ვი.

თელავი, 2 დეკემბერს

ДЕЛИУРИ

*** **შ**უშელ სომხებმა და თათრებმაც კი გვაჯობეს. **დ**ღეანდელ „ქაეკაზში“ დაბეჭდილია იმ პირთა სია, რომელთაც სიძვირისაგან გაჭირებულ იქაურ მცხოვრებლებისათვის თუ ფულითა და თუ ფქვილით შეუწირავთ შეძლებისა-და-გვარად. **ა**მ სიიდამაც სჩანს, **შ**უშის სომხებსა და თათრებს თავიანთ ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა დასახმარებელად შეუწირავთ სულ: ფულად—4,719 მან. 126 ფუთი ხორბალი, 50 ფუთი ფქვილი და 14 ფუთი ღომი.

*** **ჩ**ვენ გვთხოვენ გავასწოროთ ის შეცდომა, რომელიც გაელილ ნომრის „**დ**ღიურში“ იყო შესახებ ახლად-დაარსებულის **პ**რიკასჩიკების კლუბისა. **ბ**ვარწმუნებენ, რომ ამ კლუბში არავითარი უკმაყოფილება და **განხ**ეთქილება არ ჰსუფევს სომხებსა და ქართველებს შუაო, პირ-იქით გვარტომობას რომ ყურადღება არა აქვს მიქცეული იმით **მ**ტკიცდებაო, რომ კლუბის სტარშინებათ ქართველებიც ურევიაო. **მ**ართალია, ამას წინათ ერთი ქართველი წევრი გამორიცხეს (ისიც დროებით) კლუბიდამ, მაგრამ ამ წევრმა სკანდალი ჩაიდინა და იმიტომ გამორიცხაო და ამას გარდა სამი სომეხი და ერთიც ურია არიან კლუბიდამ გამორიცხული უწესოების ჩადენისათვისაო.

*** **ა**ხლად-გამოსულს „**ი**ვერიის“ სექტემბრისა და ოქტომბრის წიგნში, შემდეგი სტატიებია დაბეჭდილი:

„**მ**ერკადე“—სამ მოქმედებიანი კომედია, ნათარგმნი უფ. ქ. **ბ**ოფიანისა.

„**ა**ნტონი 1 **ს**აქართველოს კათოლიკოზი“—**ნ. მ**თვარელიშვილისა.

„**ე**რთი **უ**ბედურთაგანი“—**მ**ოთხრობა **ჟ**ულ **ქ**ლარეტისა.

„**მ**ოთხრობა **ს**პარსეთის და **ს**აქართველოს **ა**რეულობაზედ“—ფრანცუზულიდამ ნათარგმნი **ს. ღ**—ძისაგან.

„**ნ. . .ს**“ ლექსი **ა**კაკისა.

„***“—ლექსი.

„**წ**ერილი **ქ**ახეთიდამ“ **ძ**ამსაშვილისა—ც.

„**რ**ა არის **ს**აზოგადოება და სად **უ**ნდა ვეძებოთ იგი?“

„**ს**აისტორიო მასალა“.

„**ო**რი ძველი ლექსი“—მეფის **თ**ეიმურაზისა.

„**ხ**ევსურული **ლ**ალოცვები“.

„**ს**ხვა და სხვა ამბავი და ცნობა“.

ბამატებაში:

„**ცხ**ოვრება მეფის **ბ**იორგის XIII-სა.

„**ი**ზა“—**რ**ომანი **ბ**ეუეისი.

ამ წიგნშიეე დაბეჭდილია, **რ**ედაქციის გამოცხადება, **რ**ომ ნოემბრისა **და** დეკემბრის წიგნები „**ი**ვერიისა“—**ა**ლარ გამოვა. **ა**მ წიგნების **მ**აგიერად, ხელის-მომწერთ მიუვათ **მ**ომავალის **წ**ლის პირველი წიგნი და ამის **გ**ამო „**ი**ვერიის“ **წ**ლევანდელ ხელის-**მ**ომწერთათვის ფასი „**დ**როება“ - „**ი**ვერიისა“ **მ**ომავალ **წ**ელს იქნება, ცამეტის **მ**ანეთის **მ**აგიერად, **თ**ორმეტი **მ**ანეთი.

*** **ჩ**ვენ გვთხოვენ **გ**ამოვაცხადოთ, **რ**ომ ის ბალი, **რ**ომელიც **მ**ომავალ **კ**ვირას (9 ამ **თ**ვისას) **უ**ნდა **მ**ომხდარიყო **კ**რუჟოკში **თ**ფილისის **თ**ავად-**ა**ზნაურთა **შ**კოლის **ს**ასარგებლოთ **გ**ადიდვა **ს**ხვა **დ**როსთვის. **ა**ლკე **გ**ამოაცხადებენ **რ**ოდისთვის **ი**ქნება ის **დ**ანიშნული.

*** **ბ**ორიდამ **მ**ივიღეთ **წ**ერილი, **რ**ომლის **ა**ვტორი **გ**ვწერს, **რ**ომ **ა**ქაურ **ვ**აჭრებს ისეთ **რ**იგათ **გ**აუტკბათ **ხ**ალხის **პ**არსეა-**კ**რეჭა-**ტ**ყავება და **მ**ოტყუილება, **რ**ომ ასე **გ**ასინჯეთ, **ა**ღდგომა და **შ**ობა **დ**ღესაც კი **დ**უქნებისკენ **გ**არბიან **ა**ღრიანად და **ც**დილობენ, **რ**აც **შ**ეიძლება **ხ**ალხს **თ**ვალები **ა**უბან **ტ**ყუილის **ფ**ასითა და **მ**ოქარგულის **ე**ნით.

ღვთისმშობლობა **დ**ღეს **ძ**ალის-**ძ**ალათ **დ**აკეტინეს **დ**უქანი **ა**მათ, **კ**ეტით **ი**ფრინეს **დ**უქნებიდამ, **თ**ორემ **ვ**აჭრობას **ა**პირებდნენო! **რ**ოგორც **ა**მბობენ, **ა**მ **მ**ოკლე **ხ**ანში **ბ**ორში **ა**ქაური **ვ**აჭრების **კ**რება **ი**ქნება **დ**ე **ა**მ **კ**რებაში **დ**ეკანოზებისა **და** **ბ**ლაღოჩინების **თ**ანადასწრებით **უ**ნდა **გ**ადასწყვიტონ **ს**აბოლოოთ: **ა**ნ **ს**ულ **მ**თელი **წ**ელიწადი **ი**ვაჭრონ, **უ**ქმე **დ**ღეებს, **კ**ალენდარს **ნ**უ **მ**იაქცევენ **ყ**ურადღებას, **ა**ნა **და** **წ**ელიწადში **ო**რი-**ს**ამი **დ**ღე **დ**ასდონ **უ**ქმეთ **და** „**ი**ს **დ**ღე **ი**ყოს **შ**ფლისა **ჩ**ვენისა.

*** **ჩ**ვენ **მ**ივიღეთ **ბ**ორიდამ **შ**ემდეგი **შ**ენიშნვა:

„**წ**არსულს **ნ**ოემბრის **თ**ვეში **მ**ე **დ**ავესწარი **ერ**თს **ბ**ორის **უ**ეზდის **ს**ოფელში **გ**ახშირებული **ქ**ორწინების **დ**როს **ერ**თს **ს**აოცარს **და** **მ**ასთან **ს**ამწუხარო **შ**ემთხვევას:

„**ე**რთს **ა**ქაურს **გ**ლეხ-**კ**აცს **ჰ**ქონდა **მ**ომზადება **და** **ხ**არჯი **ს**აქორწინოდ. **წ**ავიდა **მ**ეზობელს **ს**ოფელში **დ**ანიშნულს **ჯ**ვარ **დ**ასაწერათ **და** **თ**ან, **რ**ასაკვირველია, **მ**ისდევდნენ **მ**აყრები. **რ**ა **მ**ივიდა **ე**კკლესიასთან, **შ**ეიქმნა **მ**ღვდლისაგან **ფ**იცხელი **ვ**აჭრობა **ჯ**ვარის **დ**ასაწერ **ფ**ულებზედ. **მ**ღვდელმა **დ**აიწყო 20 **მ**ანეთიდგან **და** **უ**კანასკნელ **დ**ადგა 15 **მ**ანეთზედ. **უ**ბედურ **მ**ეფეს **ა**რა **ჰ**ქონდა **მ**ეტი 7 **მ**ანეთისა. **შ**ეფიცა 7 **მ**ანეთის **მ**ეტის

უქონლოებაზედ. მაგრამ სულიერმა მამამ მცირედათ დაინახა და არ დაჯერდა 15 მანეთ ნაკლებ.

გაუჭირდა მეფეს საქმე, მიუბრუნდა მოყვარესა და დაუწყო დარწმუნება, რომ ჩვენი სოფლის მღვდელი უფრო კარგი კაციაო, დამანებეთ პატარძალიო და ჩემს სოფელში ის დამწერს ჯვარსო. ნება მისცეს მოყვრებმაც და წამოიყვანა პატარძალი.

მაგრამ დახე უბედურებას: აქაც წაუხდა თათბირი... ამ მეორე მღვდელმა მოწმობა მოსთხოვა მომძღვრისა და ფულიცა. გამობრუნდა მეფე და შესჩივლა მექორწილეებსა და სთქვა: „ვაის გავეყარე და უის შევეყარეო! ამ ჩვენმა მღვდელმაც მოწმობა მომთხოვა და ფასიცაო (ფულიცაო)“.

„ღონე მოღებულმა და სასოება წარკვეთილმა მეფემ ქორწინება უმღვდლოდ გარდაიხადა, ჯვარ დაუწერლად; მხოლოდ დანიშნულს კი ხელწერილი მისცა სამუდამოდ ცოლ-ქმრულად ცხოვრებაზედ და დღესაც ერთად შეექცევიან..

„თუ არის, ეს უნდა იყოს სამოქალაქო ქორწინება“

დამსწრე.

განცხადებანი

ამ დეკემბრის 15-ს გამოვა

საუკუნო კალენდარი

შედგენილი ქალოუბნის მღვდლის გაბრიელ სოფრომიძისაგან

ფასი ათი შაური

ამას გარდა იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის ორი წიგნი:

სიზმრის ახსნა

ფასი 20 კაპ.

და

ასოთ სამღერალი

ფასი 15 კაპ.

მსურველთ შეუძლიანთ ყველა ეს წიგნები მოითხოვონ გამომცემლისაგან ქალოუბნის ეკკლესიიდამ.

(6—1)

უმორჩილესად ვსთხოვ ყველა იმ პირებს, რომლებსაც კი უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიიდამ ნისიათ, ანუ კომისიით უეზდის ქალაქებში ანუ სხვაგან წიგნები აქვსთ წაღებული გასასყიდათ, დღეის შემდეგ იმ წიგნების ფული მე გამომიგზავნონ, რადგანაც უფ. ჩარკვიანთან თანამდებობა დავსტოვე და ყველა ის ნისიები, რაც კი ჩემს დროს გავიდა, მე გარდმოვიღე ჩემზე და სამაგიერო უკვე გადაუხადე.

ადრესი ჩემი: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“

(5—5) ზაქარია ჭიჭინაძე

ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტო

(Газетное Агентство В. Шавердова)

თ ფ ი ლ ი ს შ ი

(გოლოვინის პროსპექტი, შავერდოვის სახლებში)

იღებს: ხელის-მოწერას რედაქციის ფასით ყველა სატახტო ქალაქებისა, უცხო ქვეყნებისა და ადგილობრივ გაზეთებზე და ჟურნალებზე.

ხელის-მოწერა მიიღება იმ პირობით, რომელსაც რედაქციები აცხადებენ და იმ ვადით, რა ვადითაც გამომწერი ისურვებს.

ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება. უცხო ქვეყნისა და ოფიციალურ გამოცემების გამომწერთ სააგენტო გარდაახდევინებს მცირე კომისიის ფულს ფოჩტის ხარჯად. გაზეთის სააგენტო ხელის-მომწერს წარუდგენ რედაქციიდამ მიღებულს კვიტანციას ფულის შეტანის თაობაზედ.

ამ სააგენტოს საშუალებით გამოწერა გაზეთებისა და ჟურნალებისა განსაკუთრებით იმათთვის არის სასარგებლო, ვინც რამდენსამე გამოცემას ერთად დაიბარებს ხოლმე.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მომართონ სააგენტოს: Въ Тифлисъ. Въ Газетное Агентство В. Шавердова.

(3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში . .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალციხეს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი 30 ნოემბ.	—	—
ფქვ. თეთ. განჯისა ფუთ.	2	50
ფქვ. წითელი . .	2	10
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	70
—ამერიკისა, ფუთი .	9	50
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	70
მატყლი თუშური ფუთი.	7	80
—თარაქამისა ფუთი .	3	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	30
ქონის სანთელი ფუთი.	7	40
სტეარინის სანთელი ფ.	11	40
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	81
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	8	40
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რგვალი გრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13	50
თამბაქო საშუალო ფუ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი და გარალევიჩი—შინაგ.ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ქურავლევი—ვენერიულის და კანისა; გაბოვი—გულისა და შინაგ.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—შინაგ, ასტავაცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ქურავლევი—კანის და ვენერიულის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვაცატუროვი—ვენერ. და კანის; გაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი, შინაგ.;ქურავლევი.—ვენერ. და კანის, რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Декабръ 1879 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი რედ. ს. მესხი